თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №5715415

ნომერი: AR1854520

თარიღი : 08.10.2021

გაცემის თარიღი : 06.12.2021

გაცნობის თარიღი : 06.12.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაზისუბანი, I მ/რ, კორპუსი N9-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , ვაზისუბნის დასახლება I მკ.რ. კორპუსი N9-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ბაირამაშვილი პ/ნ 01024066547
- თბილისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 22 ივლისის №4599576 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021

წლის 08 ოქტომბერს №AR1854520 განცხადებით მომართა  დავით ბაირამაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 22 ივლისის №4599576 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 22 ივლისის №4599576 ბრძანებით №01.17.07.041.010 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2019 წლის 07 აგვისტოს №4621705 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 7 აგვისტოდან 2021 წლის 7 ნოემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2020 წლის 26 თებერვლის №4877118 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2019 წლის 22 ივლისის №4599576 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა საცხოვრებელი ფართობი 8058.65 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 957.89 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 1454.41 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი 1344.10 კვ.მ., საერთო ფართობი 11851.25 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2019 წლის 22 ივლისის №4599576 ბრძანებით შეთანხმებული 0.00, +3.20 და +28.80 ნიშნულის არქიტექტურული და „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების შესაბამისად, დამუშავებული გეგმები ჩანაცვლდა 2020 წლის 23 იანვრის №AR1730319 განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმებით. ამასთან დაემატა ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი, გამორჩენილი +12.80 ნიშნულის არქიტექტურული და „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების შესაბამისად დამუშავებული გეგმა.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 22 ივლისის №4599576 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან კერძოდ: ავტოსადგომების ფართობად 1344.10 კვ.მ-ის ნაცვლად 1350.19 კვ.მ-ის დაფიქსირებას. განმცხადებელს ასევე სურს ბრძანებაში ცალკე ფართობად დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომების ფართობი 310.882 კვ.მ.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა, ასევე დაადგინა, რომ -4.20 და 0.00 ნიშნულების გეგმები არ იცვლება უბრალოდ აღნიშნულ გეგმებზე ხდება ღია და შიდა ავტოსადგომების ფართობების დაზუსტება. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ შიდა ავტოსადგომების ფართობის ცვლილებასთან ერთად იცვლება საერთო ფართობი და იგი შეადგენს 11857.34 კვ.მ-ს.
სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 22 ივლისის №4599576 ბრძანებით შეთანხმებულ -4.20 და 0.00 ნიშნულის გეგმებზე ჯამურად დატანილია 23 ღია ავტოსადგომი და მათი ჯამური ფართობი შეადგენს 310.882 კვ.მ-ს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 22 ივლისის №4599576 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და ავტოსადგომების ფართობად დაფიქსირდეს 1350.19 კვ.მ., საერთო ფართობად 11857.34 კვ.მ. ამასთან, ამავე ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომების ფართობი 310.882 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 22 ივლისის №4599576 ბრძანებით შეთანხმებული -4.20 და 0.00 ნიშნულების არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 22 ივლისის №4599576 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 22 ივლისის №4599576 და 2020 წლის 26 თებერვლის №4877118 ბრძანებებთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.